საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმიN3

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

28 თებერვალი 2023 წ

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. ომარ ჯიხვაშვილი, 3. ნატალია ასათიანი ,4. კობა კაცაძე, 5.ჯემალი ისაკაძე, 6.იზა მაგრაქველიძე; 7. გიორგი ბარათაშვილი ; 8. დავით ცხადაძე;

სხდომას არ ესწრებოდა: ამირან ვერულაშვილი; რუსუდან კოვძირიძე;. ნინო ჩხიკვაძე,

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის უფროსი ხათუნა ნიკოლაძე, საკრებულოს სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში გულადი აბჟანდაძე;

კომისიის სიითი შემადგენლობა: 11 წევრი.
კვორუმი: 6 წევრი.
დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 8 წევრი.

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად'</u>

სხდომის თავმჯდომარემ **ბიძინა ბუცხრიკიძემ** კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ქ.თერჯოლაში მერიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებული სკვერისათვის ლაშა გოგიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ; (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წერილი N 01/348, 20.02.2023)

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

2. თვითმმართველი თემის-თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 29 აპრილის რიგგარეშე არჩევნებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მიერ გასატარებელ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ;

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი-არცერთი;

<u>დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.</u>

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.</u>

1.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წერილი (N 01/348, 20.02.2023), რომლის თანახმად თანხმობას აცხადებენ ქ.თერჯოლაში მერიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებული სკვერისათვის ლაშა გოგიაშვილის სახელის მინიჭებაზე. კომისიის თავმჯდომარემ შეახსენა კომისიის წევრებს, რომ საკითხი შესწავლილი და განხილულია საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ, გაიმართა მოსახლეობასთან კონსულტაციები და შედეგად მომზადდა კომისიის დასკვნა და საკრებულოს შუალედური გადაწყვეტილების პროექტი- ქ.თერჯოლაში მერიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებული სკვერისათვის ლაშა გოგიაშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ, რომელიც დამტკიცებულ იქნა საკრებულოს 2022 წლის 24 ნოემბრის საკრებულოს სხდომაზე (განკარგულება N გ-29.29223282), საბოლოო თანხმობას ელოდებოდნენ ,,გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიიდან“ ,საიდანაც გადმოგზავნილ იქნა 2023 წლის 08 თებერვალს ჩატარებული კომისიის სხდომის ოქმიდან ამონაწერი თანხმობის შესახებ.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. უნდა დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულების პროექტი **,,ქ.თერჯოლაში მერიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებული სკვერისათვის ლაშა გოგიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;**

მუხლი 2. საკრებულოს განკარგულების პროექტი ,,ქ.თერჯოლაში მერიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებული სკვერისათვის ლაშა გოგიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას დასამტკიცებლად.

2. მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო, რომ განსახილველად დაეწერა თერჯოლის მუნიციპალიტეეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი (N 28-282305889, 27.02.2023). როგორც ცნობილია, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2023 წლის 20 თებერვლის N16/2023 განკარგულებით თვითმმართველი თემის - თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე არჩევნები დაინიშნა 2023 წლის 29 აპრილს.

შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ თანახმად ევალებათ არჩევნების დანიშვნიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში გამოყონ და გამოაქვეყნონ იმ ადგილებისა და სტენდების ჩამონათვალი, სადაც საარჩევნო სუბიექტებს შეეძლებათ საარჩევნო პლაკატების გაკვრა და

გამოფენა, აგრეთვე იმ შენობა–ნაგებობების ნუსხის განსაზღვრა, სადაც საარჩევნო სუბიექტებისათვის შესაძლებელია საარჩევნო ღონისძიებების გამართვა.

შესაბამისად მომზადდა განკარგულების პროექტი ,,თვითმმართველი თემის-თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 29 აპრილის რიგგარეშე არჩევნებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მიერ გასატარებელ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“

აზრი გამოთქვეს: დავით ცხადაძემ, გიორგი ბარათაშვილმა;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. უნდა დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულების პროექტი,,თვითმმართველი თემის-თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 29 აპრილის რიგგარეშე არჩევნებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მიერ გასატარებელ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“

მუხლი 2. საკრებულოს განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას დასამტკიცებლად.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: